**თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს**
**2016 წლის 5 თებერვლის სხდომის ოქმი #3**

**სხდომას ესწრებოდნენ:** ფაკულტეტის დეკანი თემურ ბერიძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 18, სტუდენტები – 3, სულ –21 წევრი.

**დღის წესრიგი**

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2016-2017 სასწავლო წლისთვის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.
   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესში“ ცვლილებების შეტანის შესახებ პროექტი და სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის დადგენა.
   /სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი გ. ხასია/

3. მიმდინარე საკითხები

*სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა თ. ბერიძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი.*

**გაიმართა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: მომხრე – 21**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 5 თებერვლის #3 სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს:** თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2016-2017 სასწავლო წლისთვის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/

ქ–მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2016-2017 სასწავლო წლის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის შესახებ ანკეტა–კითხვარი. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2016-2017 სასწავლო წლისთვის ანკეტა-კითხვარის მიხედვით მისაღები კონტინგენტი განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- ეკონომიკა – 80 ადგილი;
- ბიზნესის ადმინისტრირება – 185 ადგილი;
- ეკონომიკა (თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა) – 50 ადგილი;
- ტურიზმი (თსუ ტურიზმის სკოლა) – 10 ადგილი.

**აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები:** **მომხრე – 21**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის 2016-2017 სასწავლო წლისთვის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი ფორმით (იხ. დანართი)

**მოისმინეს:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი

სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესში“ ცვლილებების შეტანის პროექტის შესახებ.

*/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი გ. ხასია/*

ქ-მა გ. ხასიამ აღნიშნა, რომ თსუ ეკონომიკისა ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2016 წლის 29 იანვრის ოქმი №2 გადაწყვეტილების შესაბამისად ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დასამტკიცებლად წარმოდგენილია „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესში“ ცვლილებების შეტანის პროექტი.

ამასთანავე, 2016 წლის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკად განისაზღვროს:

ა) თეორიული ეკონომიკის მიმართულება;
ბ) ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულება;
გ) საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის მიმართულება;
დ) მიკროეკონომიკის მიმართულება;
ე) მაკროეკონომიკის მიმართულება;
ვ) ეკონომეტრიკის მიმართულება;
ზ) ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის მიმართულება;
თ) ფინანსებისა და საბანკო საქმის მიმართულება;
ი) ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის მიმართულება;
კ) საერთაშორისო ბიზნესის მიმართულება;
ლ) მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულება;
მ) მარკეტინგის მიმართულება;
ნ) ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მიმართულება;
ო) ეკონომიკისა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულება;
პ) ბიზნესის სამართალი (ინტერდისციპლინური კვლევებისთვის).

**აზრი გამოთქვეს:** პროფ. თ. ბერიძემ, პროფ. თ. შენგელიამ, პროფ. ე. მექვაბიშვილმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, ასოც. პროფ. ლ. საბაურმა.

**საბჭოს თავმჯდომარე, პროფ. თ. ბერიძე** - მან აღნიშნა, რომ წინა სხდომაზე გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები მისთვის ცნობილია. კონკურსის არსი არის ის, რომ უნდა მოხდეს საუკეთესო პროექტის შერჩევა და არ უნდა მოხდეს თანხების თანაბრად განაწილება. ინტერსიდციპლინური კვლევებისათვის გამოყოფილია 10 000 ლარი. ეკონომიკას, როგორც სოციალურ მეცნიერებას, მჭიდრო კავშირი აქვს იურიდიულ მეცნიერებებთან, ამიტომ გამოითქვა მოსაზრება, რომ გაკეთდეს ერთობლივი ინტერდისციპლინური პროექტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტსა და იურიდიულ ფაკულტეტს შორის. ორივე ფაკულტეტისთვის გამოყოფილი იქნება 10

000 ლარი და ჩატარდება ერთობლივი კვლევა კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებით.

**პროფ. თ. შენგელია** - მან აღნიშნა, რომ პროექტების დაფინანსებისას ხელფასის ფონდი არ უნდა აღემატებოდეს 30%-ს. ვინაიდან პროექტის განხორციელებისას ყველაზე მნიშვნელოვანი არის ინტელექტუალური ცოდნა, ამიტომ საჭიროა კვლევებში ჩართული პირების ხელფასის ფონდის გაზრდა. ასევე მნიშვნელოვანია პუბლიკაციის ხარჯები და საჭიროა ამ ხარჯის გაზრდა. მან ასევე აღნიშნა, რომ წინა შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება თანხების კათედრებზე გადანაწილების შესახებ. მაგრამ ვინაიდან შეჯიბრითობის პრინციპი ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ ის ეთანხმება პროექტების საკონკურსო შერჩევის პრინციპს. პროფ. თ. შენგელიამ ასევე აღნიშნა, რომ კვლევებში უმჯობესია ჩართული იყოს დოქტორანტები და მაგისტრანტები, ხოლო ბაკალავრიატის სტუდენტების ჩართვა მას ნაადრევად მიაჩნია. პროფ. თ შენგელიამ გ. ხასიას სთხოვა, რომ შემდგომში, როდესაც იქნება მსგავსი საკითხი გამოტანილი, საბჭოს წევრებთან დასაგზავნი დოკუმენტი დამუშავდეს იმგვარად, რომ გარკვევით ჩანდეს, თუ რა მუხლში ხდება ცვლილების შეტანა, რათა ადვილი იყოს ძველი და ახალი ვერსიების შედარება. მან ასევე აღნიშნა, რომ არ უნდა მოხდეს ყოველწლიურად ერთი და იგივე კათედრებიდან პროექტების წარდგენა.

**პროფ. ე. მექვაბიშვილი** - მან აღნიშნა, რომ არ მიაჩნია თანხების ხარჯვის ცენტრალიზებული წესით განსაზღვრა. ასევე, ის ეთანხმება პროფ. თ შენგელიას მოსაზრებას სახელფასო ფონდის 30%-თან დაკავშირებით და საჭიროა მისი გაზრდა. ასევე, ხარჯვით ნაწილში უნდა შევიდეს პუბლიკაციის ხარჯები. მან გამოთქვა სურვილი, რომ აქ გამოთქმული მოსაზრებები გაეგზავნოს რექტორს და აკადემიურ საბჭოს.

**პროფ. ქ. მარშავა** - მან აღნიშნა, რომ პროექტის განხირციელების პროცესში იყო ბევრ წინააღმდეგობა, კერძოდ ის, რომ ვერ მოხერხდა პროექტით განსაზღვრული კომპიუტერების შეძენა. მან ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ კვლევით პროექტებში უმჯობესია ჩართული იყოს მაგისტრატურის სტუდენტები.

**ასოც. პროფ. ლ. საბაური** - პროექტის თანხის ათვისება შეუძლებელი იყო, რადგან ადმინისტრაციასთან შეთანხმება ვერ მოხდა. საჭიროა საფინანსო დეპარტამენტიდან თანამშრომლის მოწვევა, რომელიც ახსნის დეტალებს.

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები:** **მომხრე – 21**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-

კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესში“ ცვლილებების შეტანის პროექტი და 2016 წლის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა წარმოდგენილი სახით.

2. მომზადდეს წერილი თსუ რექტორის სახელზე და ეთხოვოს მას, ცვლილებები განხორციელდეს უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 23 დეკემბრის №39/04 „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ“ ბრძანების მერვე პუნქტში და ნაცვლად – „8. პროექტში ჩართული პროფესორისა ან/და ასოცირებული პროფესორის ან/და ასისტენტ-პროფესორის ჯამური შრომის ანაზღაურება არ უნდა აღმატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 30 %-ს.“ განისაზღვროს შემდეგნაირად:
„8. პროექტში ჩართული პროფესორისა ან/და ასოცირებული პროფესორის ან/და ასისტენტ-პროფესორის ჯამური შრომის ანაზღაურება არ უნდა აღმატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 50 %-ს.“

**მოისმინეს:** III საერთაშორისო სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „საქართველო-ისრაელის ურთიერთობები: „ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიების ორგანიზაცია და მართვა” ჩატარებისა და თანადაფინანსების შესახებ.

/ასოც. პროფ. გ. შიხაშვილი/

ასოც. პროფ. გ. შიხაშვილმა აღნიშნა, რომ 2016 წლის 17-18 მაისს განზრახულია კონფერენციის ჩატარება თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრ „იდეა“-სთან არსებული ისრაელის ეკონომიკის კვლევის ლაბორატორიის შესაბამისი გეგმის მიხედვით. საკონფერენციო მოხსენებებს ძირითადად ამზადებენ და კონფერენციაზე წარმოადგენენ 2-3 კაციანი სტუდენტური გუნდები - ცენტრ „იდეა“-ს წევრები. პლენარული სხდომისათვის მოხსენებებს წარმოადგენენ მეცნიერები და სპეციალისტები ისრაელიდან, აშშ-დან და უკრაინიდან. გამოიცემა კონფერენციის შრომების კრებული ISSN და ISBN შიფრებით. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს 60 ადამიანი.

კონფერენციის ინიციატორია თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“, ხოლო კონფერენციის მხარდამჭერები და ორგანიზატორები:

1. თსუ-ს ადმინისტრაცია;
2. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;
3. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტური კვლევებისა და პროექტების ცენტრი „იდეა“;
4. ისრაელის საელჩო საქართველოში;
5. ისრაელის კომპანია „ნეტაფიმი“;
6. აუდიტორული ფირმა „ბაკაშვილი და კომპანია“.

კონფერენციის განრიგი:

1. კონფერენციის სამეცნიერო ნაწილი (პლენარული სხდომა, სტუდენტური მოხსენებები) - თსუ მაღლივი კორპუსი, 17.05.16
2. კონფერენციის პრაქტიკული ნაწილი - ტრადიციული და ახალი ტექნოლოგიებით მომუშავე საწარმოების გაცნობა მცხეთის მუნიციპალიტეტში - 18.05.16
3. სადილი მცხეთაში „ტრადიციული ქართული სუფრა“ - 18.05.16

ასოც. პროფ. გ. შიხაშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო კონფერენციის ბიუჯეტის ძირითადი მუხლები და საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან კონფერენციის თანადაფინანსების თაობაზე 3000 ლარის ოდენობით.

**აზრი გამოთქვეს:** პროფ. თ შენგელიამ, პროფ. ე. მექვაბიშვილმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა, ასოც. პროფ. ჩ. ჯაშმა.

სხდომის თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფ. თ ბერიძემ აღნიშნა, რომ ეს საკითხი მოითხოვს დამუშავებას, ამიტომ გადაიდო შემდეგი საბჭოს სხდომისთვის.

**აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.**

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი, ასოცირებული პროფესორი მ. ნაცვალაძე

**მოისმინეს:** 1994 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის მრეწველობის დაგეგმვის *(დღე)*, მრეწველობის ეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის *(დღე, დაუსწრებელი)* და შრომის ეკონომიკის *(დღე, საღამო)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის, 2004 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის და 2007 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკის, საერთაშორისო ეკონომიკის, აგრარული ეკონომიკის, ადამიანური რესურსების ეკონომიკის, ეკონომეტრიკის და მაკროეკონომიკის სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

*/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/*

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომების შეცვლის თაობაზე განცხადებით მომართა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის შრომის ეკონომიკის სპეციალობის 1994 წლის კურსდამთავრებულმა **ლელა ნატროშვილმა** სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დიპლომის ნამდვილობის დადასტურებაზე უარის თქმის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლელა ნატროშვილის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. წარმოგიდგენთ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას:

**ლელა გივის ასული ნატროშვილი** 1989 წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის რადიოფიზიკისა და ელექტრონიკის სპეციალობაზე (ბრძანება №4/632, 07.08.1989).

1990 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის მეორე კურსელი ლელა გივის ასული ნატროშვილი გადაყვანილი იქნა ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების შრომის ეკონომიკისა და სოციოლოგიის სპეციალობის მეორე კურსზე (ბრძანება №4/665, §12, 24.09.1990).

ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1994 წლის 22 ივნისის სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 1994 წლის 25 ივლისის №4/429 ბრძანებით დღის სწავლების კურსდამთავრებულ ლელა გივის ასულ ნატროშვილს მიენიჭა **ეკონომისტის კვალიფიკაცია, სპეციალობით - შრომის ეკონომიკა** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

1994 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი **აუ №006718** (სარეგისტრაციო №01/458) რეგისტრირებულია ლელა გივის ასულ ნატროშვილის სახელზე.

თსუ არქივიდან წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, 1994 წელს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტზე ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე ოთხი კომისიის მიერ წარმოებულია დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის 26 ოქმი. წარმოდგენილი 26 ოქმიდან 18 ოქმზე მითითებულია თარიღი და ნომერი. რაც შეეხება დანარჩენ 8 ოქმს, მათზე დაფიქსირებულია მხოლოდ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის ჩატარების თარიღი.

***პირველი*** კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ე.მ.დ. პროფ. ი. მესხია; წევრები: ე.მ.დ. პროფ. გ. ადეიშვილი, ე.მ.დ. პროფ. ბ. გაბიძაშვილი, ე.მ.დ. პროფ. რ. გოგოხია, ე.მ.დ. პროფ. პ. ლემონჯავა, ე.მ.დ. პროფ. მ. ტურავა, პროფ. გ. მაზიაშვილი, ე.მ.კ. პროფ. ე. მექვაბიშვილი)* მიერ 1994 წლის 15 ივნისს წარმოებულია ორი ოქმი და მათ ნომრად მინიჭებული აქვთ 7 (ოქმი №7).

***მეორე*** კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ე.მ.კ. ნ. ქავთარაძე, დოც. გ. გამსახურდია, დოც. თ. ციგროშვილი, პროფ. ა. ერგემლიძე)* მიერ 1994 წლის 29 ივნისს წარმოებულია ცხრა ოქმი და მათ ნომრად მინიჭებული აქვთ 16 (ოქმი №16).

***მესამე*** კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: დოც. გურამ სოკრატეს ძე ყუფუნია; წევრები: პროფ. თენგიზ ანდროს ძე ჭიაბრიშვილი, უფ./მასწ. ჰენრი შალვას ძე ყარაშვილი)* მიერ 1994 წლის 23 ივნისს წარმოებულია შვიდი ოქმი და ნომრად მინიჭებული აქვთ 15 (ოქმი №15).

***მეოთხე*** კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. ჰამლეტ გრიგოლის ძე გიორგაძე; წევრები: პროფ. ოთარ ნოეს ძე საღარეიშვილი, პროფ. მედეა ვალერიანის ასული გოცირიძე, დოც. ივანე ივანეს ძე გიგოშვილი)* მიერ 1997 წლის 22 ივნისს წარმოებულია რვა ოქმი და ყველა ოქმი უნომროა.

როგორც წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, კომისიების მიერ წარმოებული ოქმები დანომრილია სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომების ჩატარების თარიღების მიხედვით. კერძოდ;

- ეკონომიკის ფაკულტეტის №1 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომა ჩატარდა 1994 წლის 15 ივნისს და ოქმებს მიენიჭეს №7;
- ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომა ჩატარდა 1994 წლის 22 ივნისს (ოქმები უნომროა);
- ეკონომიკის ფაკულტეტის №3 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომა ჩატარდა 1994 წლის 23 ივნისს და ოქმებს მიენიჭეს №15;
- ეკონომიკის ფაკულტეტის №2 სახელწიფო საგამოცდო კომისიის სხდომა ჩატარდა 1994 წლის 29 ივნისს და ოქმებს მიენიჭეს №16.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ განიხილა ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები. კომისიამ მოახდინა წარმოდგენილი უნომრო ოქმებისთვის ნომრის მინიჭება და პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება. ე.ი. გამოყენებული პრინციპის გათვალისწინებით №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ წარმოებულ ყველა უნომრო ოქმს მიენიჭოს №14.

**აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 22**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1.1. აღდგენილად ჩაითვალოს 1994 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის მრეწველობის დაგეგმვის *(დღე)*, მრეწველობის ეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის *(დღე, დაუსწრებელი)* და შრომის ეკონომიკის *(დღე, საღამო)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განიზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის *დღის განყოფილების მრეწველობის დაგეგმვის* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***№14/პ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის *დღის განყოფილების მრეწველობის ეკონომიკის* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“

კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***№14/ჰ***;

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის *საღამო განყოფილების მრეწველობის ეკონომიკის* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***№14/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის *დაუსწრებელი განყოფილების მრეწველობის ეკონომიკის* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***№14/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის *დღის განყოფილების სოფლის მეურნეობის ეკონომიკის* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***№14/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის *დაუსწრებელი განყოფილების სოფლის მეურნეობის ეკონომიკის* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***№14/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის *დღის განყოფილების შრომის ეკონომიის* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის **(მ.შ. ლელა გივის ასული ნატროშვილი)** „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***№14/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის *საღამოს განყოფილების შრომის ეკონომიკის* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის“ კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 1994 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***1994 წლის 22 ივნისი*** და ნომრად ***№14/ჰ***.

1.2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: პროფ. ჰამლეტ გრიგოლის ძე გიორგაძე; წევრები: პროფ. ოთარ ნოეს ძე საღარეიშვილი, პროფ. მედეა ვალერიანის ასული გოცირიძე, დოც. ივანე ივანეს ძე გიგოშვილი)* მიერ 1994 წლის 22 ივნისს წარმოებულ სხდომის ოქმებში *(იხ. 1994 წლის 22 ივნისის ეკონომიკის ფაკულტეტის №4 სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს:** 1994 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის მრეწველობის დაგეგმვის *(დღე)*, მრეწველობის ეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის *(დღე, დაუსწრებელი)* და შრომის ეკონომიკის *(დღე, საღამო)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის, 2004 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის და 2007 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკის, საერთაშორისო ეკონომიკის, აგრარული ეკონომიკის, ადამიანური რესურსების ეკონომიკის, ეკონომეტრიკის და მაკროეკონომიკის სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

*/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/*

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომის შეცვლის თაობაზე განცხადებით მომართა ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულმა **თამაზ გაბუნიამ**, რომელიც ითხოვს დიპლომისა და დიპლომის დანართის მომზადებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თამაზ გაბუნიას სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა

მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. წარმოგიდგენთ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას:

**თამაზ მირიანის ძე გაბუნია** 2000 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფასიანი სწავლების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 26.08.2000).

ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 16 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2004 წლის 15 ივლისის №4/834 ბრძანებით დღის სწავლების ფასიანი განყოფილების კურსდამთავრებულ თამაზ გაბუნიას მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით, სპეციალობა - საბანკო საქმე** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2004 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით B №12247 (სარეგისტრაციო №01/202) რეგისტრირებულია თამაზ გაბუნიას სახელზე.

თსუ არქივმა ფაკულტეტს მოთხოვნის საფუძველზე დამატებით გადმოსცა 2004 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის მიერ წარმოებული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის 28 ოქმი. მათ შორის 14 ოქმს აქვს ნომერი და თარიღი, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ 14 ოქმზე დაფიქსირებულია მხოლოდ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის ჩატარების თვე და რიცხვი.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2004 წელს ფაკულტეტზე მოქმედებდა სამი კომისია, რომელთა მიერ წარმოებულია ეკონომიკის ფაკულტეტის საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო განყოფილების დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების სხვადასხვა სპეციალობებში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმები.

***პირველი*** კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: თემურ ბერიძე; წევრები: ელგუჯა მექვაბიშვილი, როინ ქუტიძე, რევაზ გოგოხია, ბიკენტი გაბიძაშვილი, ავთანდილ სილაგაძე, ლარისა ყორღანაშვილი, მერაბ აბდალაძე, თენგიზ ჭიაბრიშვილი, ვლადიმერ პაპავა, ნინო აბესაძე)* მიერ წარმოებულია 9 ოქმი. მათ შორის 2004 წლის 5 ივლისს წარმოებულია 8 ოქმი და 16 სექტემბერს - 1 ოქმი. მათგან მხოლოდ 4 ოქმზე მის ჩატარების თარიღი.

***მეორე*** კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: შალერი ბენია; წევრები: გივი გამსახურდია, ელგუჯა მექვაბიშვილი, ცისანა სეხნიაშვილი, ივანე გიგოშვილი, თამარ გამსახურდია, ნატო კაკაშვილი, ნოდარ ბერძენაძე, პარმენ ლემონჯავა, პარმენ ბერიშვილი, ლელა ღუდუშაური)* მიერ 2004 წლის 14 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი, 15 ივნისს - 1 ოქმი (№2), 16 ივნისს - 1 ოქმი, 17 ივნისს - 2 ოქმი (№2 და №3), 18-19 ივნისს 1 ოქმი (№1), 21 ივნისს - 1 ოქმი (№2) და 22 ივნისს - 3 ოქმი (№3, №4, №5). წარმოდგენილი 11 ოქმიდან 3 ოქმი უნომროა.

***მესამე*** კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ნათია თურნავა; წევრები: მირიან ტუხაშვილი, ელგუჯა მექვაბიშვილი, ჰენრი ყარაშვილი, ოთარ საღარეიშვილი, ამირან ჯიბუტი, გულნაზ ერქომაიშვილი, თამარ ჩადუნელი, გურამ ბურდული, დავით ჯაბიძე)* მიერ 2004 წლის 14 ივნისს წარმოებულია 2 ოქმი, 15 ივნისს - 1 ოქმი, 16 ივნისს - 1 ოქმი (№3), 18

ივნისს - 1 ოქმი, 19 ივნისს - 2 ოქმი (№4, №5) და 19 ივნისს - 1 ოქმი. წამოდგენილი 8 ოქმიდან ნომერი არ აქვს მინიჭებული 5 ოქმს.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2015 წლის 29 მაისს საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგში დადგა საკითხი პირველი კომისიის მიერ წარმოებული უნომრო ოქმების შესახებ. ამჟამად, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ განიხილა მეორე კომისიის მიერ წარმოებულ უნომრო ოქმები. კომისიამ მოახდინა წარმოდგენილი უნომრო ოქმებისთვის ნომრის მინიჭება და პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

**აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 22**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

2.1. აღდგენილად ჩაითვალოს 2004 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განიზღვროს შემდეგნაირად:

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის (უფასო) განყოფილების *ფინანსები და საბანკო საქმის (ფინანსები)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2004 წლის 14 ივნისი*** და ნომრად ***№1/პ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის (ფასიანი) განყოფილების *ფინანსები და საბანკო საქმის (ფინანსები)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 14 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2004 წლის 14 ივნისი*** და ნომრად ***№2/პ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის (უფასო) განყოფილების *ფინანსები და საბანკო საქმის (საბანკო საქმე)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 15 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს

უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 15.06.2004 წ.***

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის (ფასიანი) განყოფილების *ფინანსები და საბანკო საქმის (საბანკო საქმე)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ***(მ.შ. თამაზ გაბუნია)*** „ეკონომისტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 16 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2004 წლის 16 ივნისი*** და ნომრად ***№1/ჰ***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის (ფასიანი) განყოფილების *ფინანსები და საბანკო საქმის (საგადასახადო საქმე)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 17 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 17.06.2004 წ.***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის (უფასო) განყოფილების *ფინანსები და საბანკო საქმის (საგადასახადო საქმე)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 17 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3, 17.06.2004 წ.***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების *ფინანსები და საბანკო საქმის (ფინანსები)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 18-19 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის (№1) ნომერი დარჩეს უცვლელი და თარიღად განისაზღვრის ***2004 წლის 19 ივნისი***;
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების *ფინანსები და საბანკო საქმის* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 21 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №2, 21.06.2004 წ.***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების *ფინანსები და საბანკო საქმის (სპეცჯგუფი - ფინანსები)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №3, 22.06.2004 წ.***
- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების *ფინანსები და საბანკო საქმის (სპეცჯგუფი - საბანკო საქმე)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის კვალიფიკაციით ბაკალავრის

აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №4, 22.06.2004 წ.***

- ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების *ფინანსები და საბანკო საქმის (საგადასახადო)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის „ეკონომისტის კვალიფიკაციით ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2004 წლის 22 ივნისის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმის რეკვიზიტები დარჩეს უცვლელი - ***ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №5, 22.06.2004 წ.***

2.2. ზემოაღნიშნული პირობა მიზანშეწონილია გავრცელდეს ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: შალერი ბენია; წევრები: გივი გამსახურდია, ელგუჯა მექვაბიშვილი, ცისანა სეხნიაშვილი, ივანე გიგოშვილი, თამარ გამსახურდია, ნატო კაკაშვილი, ნოდარ ბერძენაძე, პარმენ ლემონჯავა, პარმენ ბერიშვილი, ლელა ღუდუშაური)* მიერ 2004 წლის 14, 15, 16, 17, 18-19, 21 და 22 ივნისს წარმოებულ სხდომის ოქმებში *(იხ. 2004 წლის 14, 15, 16, 17, 18-19, 21 და 22 ივნისის ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს:** 1994 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის მრეწველობის დაგეგმვის *(დღე)*, მრეწველობის ეკონომიკის *(დღე, საღამო, დაუსწრებელი)*, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის *(დღე, დაუსწრებელი)* და შრომის ეკონომიკის *(დღე, საღამო)* სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის, 2004 წელს ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის *(დღე, დაუსწრებელი)* სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის და 2007 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკის, საერთაშორისო ეკონომიკის, აგრარული ეკონომიკის, ადამიანური რესურსების ეკონომიკის, ეკონომეტრიკის და მაკროეკონომიკის სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების - ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების რეკვიზიტების (ოქმის თარიღისა და ნომრის) დადგენა/აღდგენის შესახებ.

*/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მ. ჩავლეიშვილი/*

ქალბატონმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ თსუ-ს დიპლომების შეცვლის თაობაზე განცხადებით მომართა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალობის 2007 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულმა **ლევან მეგრელიშვილმა** სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დოკუმენტების აპოსტილით დამოწმებაზე უარის თქმის გამო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ლევან მეგრელიშვილის სახელზე უნდა გაიცეს ახალი დიპლომი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივნისის №126/ნ ბრძანების თანახმად, ითვალისწინებს ჩარიცხვის ბრძანებისა და აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. ამასთან დაკავშირებით, თსუ იურიდიული დეპარტამენტის განმარტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 24 მარტის №162 ბრძანების გამოცემამდე არსებული ნორმატიული აქტებით დამტკიცებული დიპლომის ფორმები არ ითვალისიწინებდა აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღისა და ნომრის მითითების ვალდებულებას. მხოლოდ ზემოაღნიშნული ბრძანების მიღების შემდეგ გახდა სავალდებული აღნიშნული რეკვიზიტის დიპლომის ფორმაში მითითება. აქედან გამომდინარე, ამჟამად მოქმედი დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების საფუძველზე კონკრეტული საქმის გარემოების გათვალისწინებით საქართველოს კანონმდებლობით დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო ზოგიერთი მონაცემის დაუდგენლობისას, დიპლომზე მისათითებელი შესაბამისი ინფორმაციის შექმნაზე უფლებამოსილი ორგანო (ან მისი უფლებამონაცვლე) ვალდებულია „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ შესაბამისად ჩაატაროს ადმინისტრაციული წარმოება და საქმის გარემოებების გამოკვლევის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით დაადასტუროს ან/და შექმნას შესაბამისი ინფორმაცია.

დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება. წარმოგიდგენთ საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციას:

**ლევან ვლადიმერის ძე მეგრელიშვილი** საკონკურსო შერჩევის შედეგების მიხედვით 2005 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბიუჯეტო სექტორის ეკონომიკის მიმართულების, საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალობის მაგისტრატურის I კურსზე (ბრძანება №4/795, 26.09.2005).

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალობაში საატესტაციო კომისიის 2007 წლის 6 ივლისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით და „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ“ თსუ რექტორის 2008 წლის 8 მაისის №690/01-04 ბრძანებით ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის საერთაშორისო ეკონომიკის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულ ლევან(ი) მეგრელიშვილს მიენიჭა მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით და მიეცა მაგისტრის დიპლომი.

2007-2008 წლების დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი MN№001487 (სარეგისტრაციო №001487) რეგისტრირებულია ლევან მეგრელიშვილის სახელზე.

თსუ სასწავლო დეპარტამენტიდან შემოსულ წერილს თან ახლდა 2007 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიერ წარმოებული საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის 27 ოქმი. წარმოდგენილი ოქმებიდან 20 ოქმზე დაფიქსირებულია საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ჩატარების თარიღი და ოქმის ნომერი. რაც შეეხება დანარჩენ 7 ოქმს, მათზე დაფიქსირებულია მხოლოდ საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ჩატარების თარიღი.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2007 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მაგისტრატურაში მოქმედებდა ორი საატესტაციო კომისია - ეკონომიკის მიმართულებით და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

***ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით*** შექმნილი კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: ე.ა.დ. კობა ნაყოფია; წევრები: სრული პროფესორი ელენე ხარაბაძე, სრული პროფესორი ნუგზარ თოდუა, სრული პროფესორი მურთაზ მაღრაძე, ასოცირებული პროფესორი გივი გამსახურდია, ასოცირებული პროფესორი მაია მარგველაშვილი, ასოცირებული პროფესორი თემურ შენგელია, ასოცირებული პროფესორი თემურ ხომერიკი, ასისტენტ-პროფესორი მიხეილ ჩიკვილაძე; მდივანი: ასოცირებული პროფესორი ეკა ლეკაშვილი)* მიერ სულ წარმოებულია 20 ოქმი. მათ შორის: 2007 წლის 11 ივლისს წარმოებულია ორი ოქმი, 2007 წლის 12 ივლისს - ხუთი ოქმი, 2007 წლის 13 ივლისს - შვიდი ოქმი და 2007 წლის 14 ივლისს - ექვსი ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებულია როგორც სხდომის ჩატარების თარიღი, ისე ოქმის ნომერი.

***ეკონომიკის მიმართულებით*** შექმნილი კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: სრული პროფესორი დავით იაკობიძე; წევრები: ასოცირებული პროფესორი (დეკანის მ.შ.) ჯამლეტ ჯანჯღავა, სრული პროფესორი იური ანანიაშვილი, სრული პროფესორი სიმონ გელაშვილი, სრული პროფესორი რევაზ გველესიანი, სრული პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, სრული პროფესორი მირიან ტუხაშვილი, სრული პროფესორი ნოდარ ხადური, სრული პროფესორი ეთერ ხარაიშვილი, ასოცირებული პროფესორი ლარისა ყორღანაშვილი; მდივანი: ლალი ხურცია)* მიერ სულ წარმოებულია 7 ოქმი. მათ შორის: 2007 წლის 4 ივლისს წარმოებულია ორი ოქმი, 2007 წლის 6 ივლისს - ერთი ოქმი, 2007 წლის 7 ივლისს - ორი ოქმი, 2007 წლის 9 ივლისს - ერთი ოქმი და 2007 წლის 12 ივლისს - ერთი ოქმი. ყველა ოქმზე დაფიქსირებულია მხოლოდ სხდომის ჩატარების თარიღი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების დადგენის მიზნით შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ განიხილა ეკონომიკის მიმართულებით საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებულ უნომრო ოქმები. კომისიამ მოახდინა წარმოდგენილი უნომრო ოქმებისთვის ნომრის მინიჭება და პირობითობის აღსანიშნავად ასო „პ“-ს დამატება.

**აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**

**კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 22**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

3.1. აღდგენილად ჩაითვალოს 2007 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულებით მაგისტრატურაში საატესტაციო კომისიის მიერ წარმოებული ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკის, საერთაშორისო ეკონომიკის, აგრარული ეკონომიკის, ადამიანური რესურსების ეკონომიკის, ეკონომეტრიკის და მაკროეკონომიკის სპეციალობების კურსდამთავრებულთათვის ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ამ გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია და ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვტილების რეკვიზიტები (ოქმის თარიღი და ნომერი) განიზღვროს შემდეგნაირად:

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის *ეკონომიკური თეორიის* სპეციალობის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის „მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2007 წლის 4 ივლისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2007 წლის 4 ივლისი*** და ნომრად ***№1/ჰ***;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის *სტატისტიკის* სპეციალობის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის „მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2007 წლის 4 ივლისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2007 წლის 4 ივლისი*** და ნომრად ***№2/ჰ***;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის *საერთაშორისო ეკონომიკის* სპეციალობის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის **(მ.შ. ლევანი მეგრელიშვილი)** „მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2007 წლის 6 ივლისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2007 წლის 6 ივლისი*** და ნომრად ***№3/ჰ***;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის *აგრარული ეკონომიკის* სპეციალობის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის „მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2007 წლის 7 ივლისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2007 წლის 7 ივლისი*** და ნომრად ***№4/ჰ***;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის *ადამიანური რესურსების ეკონომიკის* სპეციალობის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის „მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2007 წლის 7 ივლისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2007 წლის 7 ივლისი*** და ნომრად ***№5/ჰ***;
- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის *ეკონომეტრიკის* სპეციალობის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის „მეცნიერების მაგისტრის აკადემი-

ური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2007 წლის 9 ივლისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2007 წლის 9 ივლისი*** და ნომრად ***№6/ბ***;

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის *მაკროეკონომიკის* სპეციალობის მაგისტრატურის კურსდამთავრებულთათვის „მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის“ მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების 2007 წლის 12 ივლისის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელის სხდომის ოქმის თარიღად განისაზღვროს ***2007 წლის 12 ივლისი*** და ნომრად ***№7/ბ***.

1.2. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში საატესტაციო კომისიის *(კომისიის თავმჯდომარე: სრული პროფესორი დავით იაკობიძე; წევრები: ასოცირებული პროფესორი (დეკანის მ.შ.) ჯამლეტ ჯანჯღავა, სრული პროფესორი იური ანანიაშვილი, სრული პროფესორი სიმონ გელაშვილი, სრული პროფესორი რევაზ გველესიანი, სრული პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი, სრული პროფესორი მირიან ტუხაშვილი, სრული პროფესორი ნოდარ ხადური, სრული პროფესორი ეთერ ხარაიშვილი, ასოცირებული პროფესორი ლარისა ყორღანაშვილი; მდივანი: ლალი ხურცია)* მიერ 2007 წლის 4, 6, 7, 9 და 12 ივლისს წარმოებულ შემაჯამებელ სხდომის ოქმებში *(იხ. 2007 წლის 4, 6, 7, 9 და 12 ივლისის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმები)* მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს:** თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის *(დღე)* სპეციალობის 2001 წლის კურსდამთავრებულთათვის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილების და თსუ რექტორის ბრძანებით მინიჭებული აკადემიური ხარისხის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი №332/29, 25.01.2016, სადაც აღნიშნულია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილის (№791/02, 13.01.2016) თანახმად, თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2001 წლის კურსდამთავრებულ **ზურაბ გალუმაშვილისთვის** ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმის შესწორება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დაადგინა, რომ ზურაბ აკაკის ძე გალუმაშვილი 1997 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/650, 06.08.1997).

ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 22 ივნისის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილებით (*სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის შემაჯამებელი სხდომის ოქმი №5, 22.06.2001)* და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის ბრძანებით *(№4/707, 25.07.2001)* ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ ზურაბ გალუმაშვილს მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი წარჩინებითი.

2001 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებითი (ВН №01796, სარეგისტრაციო №01/161) რეგისტრირებულია ზურაბ გალუმაშვილის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია: **„ზურაბ გალუმაშვილი 1997 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე და 2001 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილებით ზურაბ გალუმაშვილს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.**

ზურაბ გალუმაშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№5, 22.06.2001) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/707, 25.07.2001) მინიჭებულ ხარისხთან. თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა წარმოდგენილ დოკუმენტებში მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისობაში მოყვანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზურაბ გალუმაშვილის სახელზე გაცემული ბაკალავრის დიპლომის (ВН №01796, სარეგისტრაციო №01/161) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №5, 22.06.2001) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს ნაცვლად ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“*** მიენიჭოთ ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“***.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრების წინაშე დააყენა საკითხი: შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელის სხდომის (ოქმი №5, 22.06.2001) გადაწყვეტილებით ზურაბ გალუმაშვილისთვის მინიჭებუბული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ ზურაბ გალუმაშვილს მინიჭებული ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“*** ნაცვლად მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“***.

**აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 22**

**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 22 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2001 წლის 25 ივლისის №4/707 ბრძანებით დღის სწავლების კურსდამთავრებულ ზურაბ გალუმაშვილს ნაცვლად მინიჭებული **„ბაკალავრის აკადემიური“** ხარისხისა **მიენიჭოს „ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“** ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით;
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. *ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №5, 22.06.2001)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს:** თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2002 წლის კურსდამთავრებულთათვის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილების და თსუ რექტორის ბრძანებით მინიჭებული აკადემიური ხარისხის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი №331/29, 25.01.2016, სადაც აღნიშნულია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილის (№47111/02, 18.12.2015) თანახმად, თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2002 წლის და მაგისტრატურის 2004 წლის კურსდამთავრებულ **ვარლამ ებანოიძის** ბაკალავრის და მაგისტრატურის დიპლომის დანართების მომზადება ცნობის სახით საათებისა და კრედიტების რაოდენობის მითითებით. საქმის შესწავლის შემდეგ აუცილებელი გახდა ვარლამ ებანოიძისთვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმის შესწორება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დაადგინა, რომ ვარლამ ზაურის ძე ებანოიძე 1998 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე (ბრძანება №4/570, 05.08.1998 წ.).

ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 3 ივლისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2002 წლის 25 ივლისის №4/956 ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების საბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის კურსდამთავრებულ ვარლამ ებანოიძეს მიენიჭა

**ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი წარჩინებითი.

2002 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებითი (BH №02433, სარეგისტრაციო №01/435) რეგისტრირებულია ვარლამ ებანოიძეს სახელზე, ხოლო ფაკულტეტზე წარმოდგენილი ვარლამ ებანოიძის სახელზე შევსებული ბაკალავრის დიპლომის დანართში აღნიშნულია, რომ **„ვარლამ ებანოიძე, დაბადებული 1981 წელს, 1998 წლიდან 2002 წლამდე სწავლობდა ... და 2002 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სპეციალობით „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“.**

ვარლამ ებანოიძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმში (№3, 03.07.2002) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/956, 25.07.2002) მინიჭებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვარლამ ებანოიძის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (BH №02433, სარეგისტრაციო №01/435) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 3 ივლისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს ნაცვლად ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“*** მიენიჭოთ ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“***.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრების წინაშე დააყენა საკითხი: შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 3 ივლისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი №3) გადაწყვეტილებით ვარლამ ებანოიძისთვის მინიჭებუბული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის 2002 წლის კურსდამთავრებულ ვარლამ ებანოიძეს მინიჭებული **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**.

**აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 22**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2002 წლის 3 ივლისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2002 წლის 25 ივლისის №4/956 ბრძანებით საბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულ ვარლამ ებანოიძეს

ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცია“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“** საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით;

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. *ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის სხდომის ოქმი №3, 3.07.2002)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს:** თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის *(დღე)* სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულთათვის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის შემაჯამებელი სხდომის გადაწყვეტილების და თსუ რექტორის ბრძანებით მინიჭებული აკადემიური ხარისხის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი №360/29, 26.01.2016, სადაც აღნიშნულია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილის (№47826/02, 24.12.2015) თანახმად, თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა **თამაზ გაბუნიას** ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმის შესწორება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დაადგინა, რომ თამაზ მირიანის ძე გაბუნია 2000 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფასიანი სწავლების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 26.08.2000).

ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 16 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომროა) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2004 წლის 15 ივლისის №4/834 ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების ფასიანი განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის კურსდამთავრებულ თამაზ გაბუნიას მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი ჩვეულებრივი.

2004 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით B №12247 (სარეგისტრაციო №01/202) რეგისტრირებულია თამაზ გაბუნიას სახელზე, ხოლო ფაკულტეტზე წარმოდგენილი თამაზ გაბუნიას სახელზე შევსებული ბაკალავრის დიპლომის დანართში აღნიშნულია, რომ **„თამაზ გაბუნია, დაბადებული ..., 2000 წელს ჩაირიცხა თსუ „ფინანსები და საბანკო საქმე“ ... 2004 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის**

**ფაკულტეტი, სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე და მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“.**

თამაზ გაბუნიას სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ეკონომიკის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 16 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/834, 15.07.2004) მინიჭებულ ხარისხთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თამაზ გაბუნიას სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (B №12247, სარეგისტრაციო №01/202) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 16 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილება და კურსდამთავრებულებს ნაცვლად *„ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“* მიენიჭოთ *„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“*.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრების წინაშე დააყენა საკითხი: შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 16 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი უნომრო) გადაწყვეტილებით თამაზ გაბუნიასთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის 2004 წლის კურსდამთავრებულ თამაზ გაბუნიას მინიჭებული **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“** ნაცვლად მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“**.

**აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 22**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაში სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 16 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმში და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2004 წლის 15 ივლისის №4/834 ბრძანებით დღის (ფასიანი) განყოფილების კურსდამთავრებულ თამაზ გაბუნიას ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცია“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“** ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით;
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. *ეკონომიკის ფაკულტეტის ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2004 წლის 16 ივნისის სხდომის ოქმი)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს:** თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსები, ბანკები, დაზღვევა“ (სპეცჯგუფი) სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილების და თსუ რექტორის ბრძანებით მინიჭებული აკადემიური ხარისხის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი №330/29, 25.01.2016, სადაც აღნიშნულია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილის (№47816/02, 24.12.2015) თანახმად, თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ **ნიკოლოზ ავალიანისთვის** ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმის შესწორება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დაადგინა, რომ ნიკოლოზ ავალიანი 2001 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/752, 02.08.2001).

ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსები, ბანკები, დაზღვევა“ (სპეცჯგუფი) სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის *(შემაჯამებელი ოქმი №5, 08.06.2005)* გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის დღის განყოფილების, „ფინანსები, ბანკები, დაზღვევა“ (სპეცჯგუფი) სპეციალობის კურსდამთავრებულ ნიკოლოზ ავალიანს მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა დიპლომი წარჩინებითი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით ВН №000368 (სარეგისტრაციო №01/2011) რეგისტრირებულია ნიკოლოზ ავალიანის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია: **„ნიკოლოზ ავალიანი 2001 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით ფინანსები და საბანკო საქმე. ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ნიკოლოზ ავალიანს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეკონომისტის კვალიფიკაცია“.**

ნიკოლოზ ავალიანის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში და დიპლომის დანართში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელ ოქმში (№5, 08.06.2005) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/611, 08.07.2005) მინიჭებულ ხარისხთან. თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა წარმოდგენილ დოკუმენტებში (ბაკალავრის, აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმში) მინიჭებული კვალიფიკაციის შესწორება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნიკოლოზ ავალიანის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (BH №000368, სარეგისტრაციო №01/2011) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელის ოქმი №5, 08.06.2005) გადაწყვეტილება და ნაცვლად ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“*** მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“***.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრების წინაშე დააყენა საკითხი: შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსები, ბანკები, დაზღვევა“ (სპეცჯგუფი) სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 08.06.2005) გადაწყვეტილებით ნიკოლოზ ავალიანისთვის მინიჭებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობის კურსდამთავრებულ ნიკოლოზ ავალიანს მინიჭებული ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“*** ნაცვლად მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“***.

**აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 22**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსები, ბანკები, დაზღვევა“ (სპეცჯგუფი) სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო კომისიის 2005 წლის 8 ივნისის სხდომის შემაჯამებელ ოქმში (№5) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით დღის (საბიუჯეტო) განყოფილების კურსდამთავრებულ ნიკოლოზ ავალიანს ნაცვლად მინიჭებული **ხარისხისა „ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“** ფინანსები, ბანკები, დაზღვევა სპეციალობით;
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. *ეკონომიკის ფაკულტეტის „ფინანსები, ბანკები, დაზღვევა“ (სპეცჯგუფი) სპეციალობის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №5, 08.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს:** თსუ ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილების და თსუ რექტორის ბრძანებით მინიჭებული აკადემიური ხარისხის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ.

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

ქ-მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი №333/29, 25.01.2016, სადაც აღნიშნულია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილის (№303/02, 08.01.2016) თანახმად, თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2005 წლის ბაკალავრიატისა და 2007 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ **ლევან მეგრელიშვილისთვის** ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისობაში მოყვანა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა წარმოდგენილი საარქივო მასალების საფუძველზე ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და დაადგინა, რომ ლევან მეგრელიშვილი 2001 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაზე (ბრძანება №4/760, 27.08.2001).

ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 08.06.2005) გადაწყვეტილებით და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების კურსდამთავრებულ ლევან მეგრელიშვილს მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით**, სპეციალობა - საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და მიეცა დიპლომი წარჩინებითი.

2005 წლის დიპლომების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში დიპლომი წარჩინებით ВН №000742 (სარეგისტრაციო №01/3500) რეგისტრირებულია ლევან მეგრელიშვილის სახელზე, რომელშიც აღნიშნულია: **„ლევან მეგრელიშვილის 2001 წელს ჩაირიცხა და 2005 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სრული კურსი სპეციალობით საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით ლევან მეგრელიშვილს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და ეკონომისტის კვალიფიკაცია“.**

ლევან მეგრელიშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომში მითითებული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი არ არის შესაბამისობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმით (№5, 08.06.2005) და თსუ რექტორის ბრძანებით (№4/611, 08.07.2005) მინიჭებულ ხარისხთან. თსუ სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა წარმოდგენილ დოკუმენტებში (ბაკალავრის, აკადემიური ხარისხის მინიჭების ოქმში) მინიჭებული კვალიფიკაციის შესწორება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლევან მეგრელიშვილის სახელზე გაცემულ ბაკალავრის დიპლომის (ВН №000742, სარეგისტრაციო №01/3500) შესაბამისად უნდა შესწორდეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელის ოქმი №5, 08.06.20005) გადაწყვეტილება და ნაცვლად ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა“*** მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“***.

ქ-მა ე. ხარაიშვილმა საბჭოს წევრების წინაშე დააყენა საკითხი: შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის (შემაჯამებელი ოქმი №5, 08.06.2005) გადაწყვეტილებით ლევან მეგრელიშვილისთვის მინიჭებუბული ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მის სახელზე გაცემულ დიპლომსა და დიპლომის დანართში მითითებულ ხარისხთან. კერძოდ, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის კურსდამთავრებულ ლევან მეგრელიშვილს მინიჭებული ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხის“*** ნაცვლად მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“***.

**აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 22**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:**

1. ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის 2005 წლის 8 ივნისის შემაჯამებელ ოქმში და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის 2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით დღის (არასაბიუჯეტო) განყოფილების კურსდამთავრებულ ლევან მეგრელიშვილს ნაცვლად მინიჭებული ხარისხისა **„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაცია“** მიენიჭოს **„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი“** საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით;
2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (იხ. *ეკონომიკის ფაკულტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობის ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის შემაჯამებელი ოქმი №5, 08.06.2005)* და მათ დიპლომებში ცვლილებები განცხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

**მოისმინეს:** თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2015 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ დავტიან ჰრანტისათვის ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;

*/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ხარაიშვილი/*

ქ–მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოვიდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ი. მშვენიერაძის წერილი №361/29, 26.01.2016, სადაც აღნიშნულია, რომ თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ეკონომიკის საერთაშორისო სკოლიდან შემოვიდა წერილი წარდგინების სახით (№01/16, 25.01.2016), რომლითაც მოითხოვეს 2015 წლის 22 სექტემბერს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან არსებული ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის აკადემიური საბჭოს გადაწვეტილებით 2015 წლის

კურსდამთავრებულ **დავტიან ჰრანტის** მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება. წერილს თან ერთვის კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

ქ–მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ მაგისტრანტი დავტიან ჰრანტი არის სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე. 2012–2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩაირიცხა თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან სამაგისტრო პრორამაზე (ბრძ. #1875/01–04, 18/10/2012). 2012–2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, ხოლო 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან აღუდგა სტუდენტის სტატუსი და მიეცა სწავლისა და რეგისტრაციის უფლება, როგორც პირველი სემესტრის მაგისტრანტს.

ქ–მა ე. ხარაიშვილმა აღნიშნა, რომ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2015 წლის კურსდამთავრეულ დავტიან ჰრანტს შესრულებული აქვს პროგრამის სავალდებულო საგნები (60 კრედიტი), არჩევითი საგნები (45 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომი (21 კრედიტი). ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენაციის საფუძველზე და სასწავლო ბარათის მიხედით დავტიან ჰრანტს შესრულებული აქვს მაგისტრის ხარისხის მინიჭებისთვის საჭირო კრედიტების რაოდენობა (126 კრედიტი), რის საფუძველზეც მიზანშეწონილია მიენიჭოს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

**აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 22**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** მიენიჭოს ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის 2015 წლის კურსდამთავრეულ დავტიან ჰრანტს ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

**მოისმინეს:** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის თ. ბერიძის ინფორმაცია ასოც. პროფ. ჩ. ჯაშისთვის უნივერსიტეტის მედლის ნაცვლად ივ. ჯავახიშვილის მედლის მინიჭების შესახებ.

*დეკანმა თ. ბერიძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის #1 საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ასოც. პროფ. ჩ. ჯაშისთვის უნივერსიტეტის მედლის მინიჭების შესახებ. ფაკულტეტის კანცელარიაში წარდგინების დოკუმენტების მომზადების დროს დაშვებულ იქნა შეცდომა, სადაც ,,უნივერსიტეტის მედლის“ ნაცვლად ჩაიწერა*

*„ივ. ჯავახიშვილის მედალი," როს გამოც თსუ აკადემიურმა საბჭომ ასოც. პროფ. ჩ. ჯაშს მიანიჭა ივ. ჯავახიშვილის მედალი.*

**აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.**

**მოისმინეს:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობებისა და ჩატარების წესში" ცვლილებების შეტანის პროექტის შესახებ ინფორმაცია.

*/თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი გ. ხასია/*

ქ-მა გ. ხასიამ აღნიშნა, რომ თსუ რექტორის 2015 წლის 23 დეკემბრის №39/04 „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ" ბრძანების მე-4 პუნქტის შესაბამისად, მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დაფინანსება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე, რომლის პირობებსა და ჩატარების წესს ადგენს ფაკულტეტის საბჭო რექტორის ბრძანების შესაბამისად. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე კონკურსის ჩატარების პირობები და წესი დამტკიცდა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილებით. თსუ რექტორის 2015 წლის 23 დეკემბრის №39/04 ბრძანებაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად ქ-მა გ. ხასიამ საბჭოს წევრებს წარუდგინა "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესში" ცვლილებების განსახორციელებლად შესაბამისი პროექტი.

ახალი ცვლილებების შესაბამისად 2016 წელს გამოყოფილია 85 000 ლარი, საიდანაც 75 000 ლარი მოხმარდება ძველი წესით განსაზღვრულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, ხოლო არაუმეტეს 10 000 ლარის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ინტერდისციპლინური კვლევითი პროექტის განხორციელება. სურვილი არის, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის და იურიდიული ფაკულტეტის მიერ განხორციელდეს ერთობლივი ინდერდისციპლინური კვლევითი პროექტი ბიზნეს-სამართლის კუთხით. ქ-მა გ. ხასიამ საბჭოს წევრებს სთხოვა ჩამოთვლილ თემატიკას დაამატონ სწორედ ეს მიმართულება - ბიზნეს-სამართალი.

ქ-მა გ. ხასიამ აღნიშნა, რომ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკის დამდგენ ორგანოდ განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭო. 2016 წლის სამეცნიერო-კვლევითი თემატიკად  განისაზღვრა:

ა) თეორიული ეკონომიკის მიმართულება;
ბ) ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულება;
გ) საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის მიმართულება;
დ) მიკროეკონომიკის მიმართულება;
ე) მაკროეკონომიკის მიმართულება;
ვ) ეკონომეტრიკის მიმართულება;
ზ) ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის მიმართულება;
თ) ფინანსებისა და საბანკო საქმის მიმართულება;
ი) ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის მიმართულება;
კ) საერთაშორისო ბიზნესის მიმართულება;
ლ) მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულება;
მ) მარკეტინგის მიმართულება;
ნ) ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მიმართულება;
ო) ეკონომიკისა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულება;
პ) ბიზნესის სამართალი (ინტერდისციპლინური კვლევებისთვის).

აღსანიშნავია ის, რომ 2015 წელს ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შეფასების კომისიები ცალკ-ცალკე დაკომპლექტდა, ხოლო 2016 წელს განსაზღვრულია ერთი კომისიის დაკომპლექტება.

**აზრი გამოთქვეს:**

**პროფ. თ. შენგელია** - მან აღნიშნა, რომ ინტერსიდციპლინური კვლევითი პროექტის განხორციელებისას ცნობილი უნდა იყოს პრობლემატიკა, უნდა გაიმართოს დისკუსია ამ საკითხზე. ფაკულტეტებს უნდა წარმოედგინათ პრობლემატიკა, რომელზეც ისინი აპირებენ საქმიანობის წარმართვას და შემდეგ მოხდეს გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რა ფორმით შედგება თანამშრომლობა. შარშანდელი გამოცდილებიდან გამომდინარე დაირღვა რიგი საკითხები. თავდაპირველად განსაზღვრული იყო ერთი პროექტის გამარჯვება, მაგრამ შემდგომ მოხდა თანხების გადანაწილება და ხელოვნური მიბმები. ასეთი მიდგომები მეცნიერებაში არასერიოზულია. საკონკურსო შერჩევის პროცესში შემდგომ მათ ენიჭებათ უპირატესობა. საკონკურსო პროექტებში არ უნდა ყოფილიყო ის მეცნიერები, ვისაც სხვა გრანტი ჰქონდა მიღებული. უნდა არსებობდეს კომისიის წერილობითი დასაბუთება იმისა, თუ რა მოტივით თქვა კომისიამ უარი ამა თუ იმ პროექტის დაფინანსებაზე. თუ ეს საქმე არ წავიდა ვიწრო სპეციალიზაციის ფორმით, ჩვენ ყოველთვის აღმოვჩნდებით ჩიხში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბაკალავრიატის სტუდენტის მონაწილება ასეთ პროექტებში არის ნაადრევი. სუბიექტური აზრი არის ის, რომ საჭიროა კვლევით პროექტებში მხოლოდ დოქტორანტების ჩართვა.

**პროფ. ნ. თოდუა** - მან აღნიშნა: ,, თანხას, რომელსაც გვაძლევს უნივერსიტეტი, აქვს სიმბოლური დატვირთვა. მაგალითად მარკეტინგში კვლევისათვის 20 000 ლარი არაფერი არ არის. მე ვფიქრობ შორს არ არის ის დრო, როდესაც კათედრებს ექნებათ ფული და კათედრები გადაწყვეტენ, თუ რა კვლევა ჩაატარონ, იმიტომ რომ ძალიან ძნელია გაარკვიო რატომ დაფინანსდება ეს და არა ის პროექტი. როდესაც ხდება შედარება, იქ უნდა იყოს პარამეტრები, რომელიც შედარებისთვის იქნება გამოსადეგი. ჩვენ უნდა გვქონდეს საშუალება, რომ ეს ფული გამოეყოს კათედრებს, რომლებიც თვითონ განსაზღვრავენ, თუ რა კვლევა ჩაატარონ. სხვა შემთხვევაში გაერთიანებულ კომისიას ძალიან დიდი ჯაფა დაადგება იმისათვის, რომ ეს განსხვავებები დააფიქსიროს."

მან საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი, რომ მომავალი სხდომისთვის მოხდეს ამ საკითხის განხილვა.

**ასოც. პროფ. ნ. ფარესაშვილი** - მან აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით კითხვები მართლაც გაჩნდა. ის ესაუბრა თსუ სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსს, რომელმაც აღნიშნა, რომ თუ ფაკულტეტის საბჭო ამას გადაწყვეტს, შესაძლებელია ეს თანხები გაიყოს ყველა კათედრაზე და კათედრის ხელმძღვანელს მიენიჭება გადაწყვეტილების მიღების უფლება იმ შემთხვევაში, თუ კათედრაზე წარმოდგენილი იქნება რამოდენიმე პროექტი.

**პროფ. ე. ხარაიშვილი** - მან აღნიშნა, რომ ეთანხმება ამ მოსაზრებას. კვლევითი პროექტებიდან ანაზღაურება მიზერულია, რაც სტიმულებს ამცირებს. კვლევითი პროექტების შეფასების კომისიაში მუშაობა ბევრ უხერხულობას წარმოქმნის და მიმდინარე წელს ეს უფრო გაღრმავდება. იმ შემთხვევაში, თუ თანხები კათედრებზე გადანაწილდება, შესაძლებელი გახდება ამ თანხით საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების ხარჯების დაფარვა. ეს აამაღლებს უნივერსიტეტის რეიტინგს და ჩართულობას.

**პროფ. ა. ჩუთლაშვილი** - მან აღნიშნა, რომ არამარტო ფაკულტეტებს შორის, არამედ კათერებმაც შესაძლოა ერთობლივი კვლევები ჩაატარონ.

**პროფ. ე. მექვაბიშვილი** - მან აღნიშნა, რომ ეთანხმება მოსაზრებებს, მაგრამ საბჭოზე დღეს სხვა საკითხი დგას, რომელიც შეეხება ცვლილებებს.

**გ. ხასია** - მან აღნიშნა, რომ თუ აქ გამოთქმული ცვლილებები განხორციელდება, მაშინ რეგულაცია მთლიანად შეიცვლება. აქედან გამომდინარე, უმჯობესია შემდეგი სხდომისთვის განვიხილოთ ახალი პროექტი.

**პროფ. რ. გველესიანი** - მან აღნიშნა, რომ თუ გვინდა თანხების კათედრების მიხედვით განაწილება, ეს საკითხი უნდა დამუშავდეს და მოხდეს მისი განხილვა შემდეგ სხდომაზე.

**პროფ. ე. მექვაბიშვილი** - მან აღნიშნა, რომ რადგან აქ საუბარია კონკურსის პირობების რადიკალურ ცვლილებებზე, ამიტომ საჭიროა მსჯელობა და გააზრება. აქედან გამიმდინარე, ეს საკითხი განიხილება შემდეგ საბჭოზე.

**დაადგინეს:** ფაკულტეტის საბჭოზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადდეს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად კონკურსის პირობები და ჩატარების წესში" შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც წარედგინოს ფაკულტეტის საბჭოს შემდეგ სხდომაზე დასამტკიცებლად.

**აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.**

**მოისმინეს:** ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი 2016 წლის სტუდენტურ ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმისთვის სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების შერჩევის კონკურსის გამოცხადების შესახებ.

ქ-მა ნ. ფარესაშვილმა აღნიშნა, რომ გამოცხადდა ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმი როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ასევე სტუდენტებისთვის. დღეს კენჭისყრაზე უნდა დავაყენოთ საკითხი: ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ფორუმში სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების შერჩევის კონკურსის გამოცხადების შესახებ.

**აღნიშნულ საკითხან დაკავშირებით აზრი არავის გამოუთქვამს.**

**გაიმართა კენჭისყრა**
**კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 22**
**წინააღმდეგი – 0**

**დაადგინეს:** თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გამოცხადდეს კონკურსი ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ 2016 წლის სტუდენტურ ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმისათვის ნაშრომების შერჩევისა და ფორუმისათვის წარდგენის მიზნით.

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე თ. ბერიძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს სწავლული მდივანი მ. ნაცვალაძე